

საკრებულოს წევრის როლები

1. მენეჯერის როლი
2. ლიდერის როლი
3. ომბუდსმენის როლი
4. მაკონტროლებელის როლი\

მენეჯერის როლი

მუნიციპალიტეტის ეფექტურობისათვის და მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია რომ საკრებულოს წევრს გააჩნდეს მენეჯერული უნარჩვევები.

საკრებულოს წევრს თავის ყოველდღიურ საქმიანობისას უწევს გადაწყვეტილებების მიღება. რაზეც არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტის სოციალური-ეკონომიკური განვითარება, ამიტომაც საკრებულოს წევრების მიერ სწორ დაგეგმვას, ორგანიზებას, გაძღვლას და კონტროლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საკრებულოს წევრის როგორც მენეჯერის წინაშე არსებული პრობლემათა ჯაჭვი უზარმაზარია. მათ ერთდროულად მრავალი პრობლემის მოგვარება უწევთ, უნდა მიიღონ ბევრი გადაწყვეტილება და დაეყრდნონ წარსულის გამოცდილებას.

თანამედროვე განათლება მენეჯმენტის კუთხით და გამოცდილება საშუალებას მისცემს საკრებულოს წევრს, გამოიცნოს და განავითაროს უნარ-ჩვევები მუნიციპალიტეტის რესურსების სათანადოდ გამოყენებისათვის. განათლება და გამოცდილება საკრებულოს წევრებს საშუალებას მისცემს სამი ძირითადი მენეჯერული უნარ-ჩვევის გამომუშავებაში. ესენია: კონცეფციური, ადამიანური და ტექნიკური.

კონცეფციური უნარ-ჩვევები გამოიხატება სიტუაციის ანალიზში, დიაგნოზში და მიზეზ-შედეგობრიობის დადგენაში.

ოფიციალური განათლება და სწავლება ძალიან ეხმარება ნებისმიერ თანამდებობის პირს კონცეფციური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. კონცეპციური უნარ-ჩვევა საშუალებას აძლევს ნებისმიერ საჯარო მოხელეს საკუთარი ფუნქციები ეფექტურად შეასრულოს და ჩვენს შემთხვევაში საკრებულოს წევრმა მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ფართო სპექტრში დაინახოს. ფართო სპექტრში მოვლენების აღქმა საკრებულოს წევრს საშუალებას მისცემს მოვლენების მიღმა დაინახოს გამოსავალი და მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილება.

ადამიანურ უნარ-ჩვევებში იგულისხმება საკრებულოს წევრის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, სხვადასხვა სექტორებთან ურთიერთობა, ხელმძღვანელობისა და კონტროლის უნარი.

კონცეფციური უნარ-ჩვევების მზგავსად ადამიანური უნარ-ჩვევების სწავლა შესაძლებელია განათლების, მომზადების და გამოცდილების მეშვეობით.

ტექნიკური უნარ-ჩვევები მოიაზრება საქმის სპეციფიკისა და იმ მეთოდების ცოდნა რომელიც მუნიციპალიტეტის საქმიანობისთვის გამოიყენება. მაგ. საბუღალტრო, მარკეტინგის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და ა. შ.

იმისათვის რომ საკრებულოს წევრი იყოს ეფექტური მენეჯერი მას სამივე უნარ-ჩვევა სჭირდება. რომელიმე მათგანის არ არსებობას წარუმატებლობის გამოწვევა შეუძლია.

ლიდერის როლი

როცა საკრებულოს წევრები ლიდერები არიან, მოსახლეობას სჯერა და ნდობა აქვს მისი. ეფექტური მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის ძალაუფლება, რომელიც ლიდერს ესაჭიროება ადამიანების ქცევების წარსამართად, რათა მათ სწორად იმოქმედონ. არსებობს რამდენიმე სახის ძალაუფლება: კანონიერი, წახალისების, იძულების, ექსპერტის და ეტალონის. ეფექტური ლიდერები დგამენ ნაბიჯებს, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ აქვთ საკმარისი დონე თითოეული მართვის თითოეული ფორმისათვის და რომ ისინი იყენებენ ამ ძალაუფლებას მაქსიმალურად.

კანონიერი ძალა არის ძალა, რომელიც აქვს საკრებულოს წევრს თავისი თანამდებობიდან გამომდინარე. საკრებულოს წევრი მოსახლეობის მიერ არის არჩეული და რა თქმა უნდა მოსახლეობა მას ლიდერად თვლის.

ექსპერტის ძალა დაფუძნებულია იმ სპეციალურ ცოდნაზე, უნარზე გამოცდილებაზე რასაც საკრებულოს წევრი, როგორც ლიდერი უნდა ფლობდეს. ეფექტური ლიდერები იღებენ ზომებს, რათა დარწმუნდნენ რომ აქვთ შესაბამისი ექსპერტის ძალა თავიანთი ლიდერული როლის შესასრულებლად. მათ შეუძლიათ გაიარონ დამატებითი ტრენინგები ამ სფეროში, დარწმუნდნენ რომ ისინი ფეხდაფეხ მისდევენ უახლეს ცვლილებებს პროფესიულ ასოციაციებში ჩართვის გზით.

ეტალონის ძალა გაცილებით არაფორმალურია სხვა ძალაუფლებასთან შედარებით. ესაა ძალა, რომელიც მომდინარეობს ხელქვეითების, მოსახლეობის საზოგადოების პატივისცემიდან, დაფასებიდან და ლოიალურობიდან.

ომბუდსმენის როლი

საკრებულოს წევრის როლს ამ კუთხით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ საკრებულოს წევრი დგას მისი ამომრჩეველის უფლებების და ინტერესების სადარაჯოზე და ითვალისწინებს მოსახლეობის აზრს ის საზოგადოების კეთილგანწყობას დაიმსახურებს

საკრებულოს წევრი, რომელიც მოსახლეობის მიერაა არჩეული, ვალდებულია, რომ დაიცვას თავისი ხალხის ინტერესები და უფლებები, როგორც მუნიციპალიტეტის დონეზე, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

საკრებულოს წევრი უნდა ცდილობდეს – როდესაც ილახება მისი ამომრჩეველის უფლებები და ინტერესები უკანონოდ, რომ მის დამცველი იყოს ნებისმიერ ინსტანციაში. ის ხშირად უნდა ხვდებოდეს მოსახლეობას და ისმენდეს მათ მოთხოვნებს, პრობლემებს და წინადადებებს.

მაკონტროლებელის როლი

კონტროლი არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც საკრებულოს წევრები ასრულებენ მონიტორინგს და არეგულირებენ წარმომადგენლობითი და

აღმასრულებელი ორგანოების მიზნების მისაღწევად აუცილებელი სამუშაოს ეფექტურად და ყაირათიანად შესრულებას. კონტროლის პროცესში საკრებულოს წევრები მონიტორინგს უკეთებენ და აფასებენ, რამდენად შესაბამისად მუშაობს სტრატეგია და სტრუქტურა, როგორ შეიძლება მათი გაუმჯობესება ან შეცვლა საჭიროების შემთხვევაში.

კონტროლი არ გულისხმობს მხოლოდ უკვე მომხდარ მოვლენებზე რეაგირებას. ის ასევე ნიშნავს თვითმმართველობის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფას და მოსალოდნელი მოვლენების წინასწარ განჭვრეტას. კონტროლი უკავშირდება თვითმმართველობის ორგანოების წინაშე მდგარ მნიშვნელოვან პრობლემებზე თანამშრომელთა მოტივირებულობის, ფოკუსირებულობის შენარჩუნებას და ასევე ერთობლივ მუშაობას იმ შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, რომლებიც დაეხმარება თვითმმართველობას აღმასრულებელ ორგანოებს დროთა განმავლობაში გააუმჯობესონ მათი საქმიანობა.

საკრებულოს წევრებს ასევე შეუძლიათ გახადონ თვითმმართველობის ორგანოები უფრო მეტად ორიენტირებული საზოგადოების მოთხოვნებზე, თუ ისინი განავითარებენ კონტროლის სისტემას, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასებისა, რამდენად კარგად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. როდესაც თანამშრომლებმა იციან, რომ ხდება მათი ქცევის მონიტორინგი, მათ შეიძლება მეტი მოტივაცია ჰქონდეთ, რომ იყვნენ სასარგებლო და თანმიმდევრული საზოგადოების მიმართ ქმედებებში.